



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მსხალიჭასებრნი

მსხალიჭასებრნი (Pyrolaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. მარადმწვანე მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახებია. აქვთ ყვავილედეში თავმოყრილი, იშვიათად  
ეული ორსქესიანი ყვავილები და მრავალთესლიანი კოლოფა ნაყოფი. ოჯახში 4–5 გვარის  
45-მდე სახეობაა. გავრცელებულია ჩრდ. ზომიერ და ცივ სარტყლებში; სამხრ-ით  
მექსიკამდე და კარიბის ზღვის კუნძულებამდე აღწევენ. საქართველოში იზრდება ამ ოჯახის  
6 სახეობა.

---